ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CON №11-17

(კონსოლიდირებული ტენდერი con170000024)

თბილისი 22.05.2017წ.

ერთი მხრივ - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით, (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია" - „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორსმაჟორი" - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებს 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის **(Con170000024)** სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის **4** (ოთხი) ცალი საბურავი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **CPV-34300000**, ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულებაა: **528.00** (ხუთას ოცდარვა) ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად. ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით განსაზღვრული მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ან/და სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

4.5 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.6 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მიუხედავად მოთხოვნის წარდგენის თარიღისა, საბურავების მიწოდება დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან, ხოლო ყოველი შემდგომი მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით;

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

5.5 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.6 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელმა გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.5%.

6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ მიმწოდებელმა გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ის ოდენობით.

6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 .მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შპს „თეგეტა მოტორსი“
ს/კ: 211 343 982	ს/კ: 202 177 205
მის: თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №12.	მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5
სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი TRESGE22.	ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ა/ა 200 122 900	ბანკის კოდი TBCBGE22
	ა.ა. GE 80 TB 0600 0000 2446 7853
თავმჯდომარის მოადგილის	
მოვალეობის შემსრულებელი	გენერალური დირექტორი
ალექსანდრე თევდორაძე	თემურ კოხოძე

დანართი №1

22.05.2017წ

ხელშეკრულება CON №11-17

ზომა	რაოდენობა	ბრენდი	მოდელი	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი	მიწოდების თარიღი
R17 225/60	4	Hifly	HT601	132	528	22.05.2017-31.10.2017 მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
ჯამი					528	

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალექსანდრე თევდორაძე

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი"

თემურ კოხოძე

დანართი №1

CON170000024

სეზონი	საბურავის ბრენდი	საბურავის მოდელი	ბრენდის წარმოშობის ქვეყანა	საბურავის ზომა	ერთეულის ფასი ლარებში	რაოდენობა	ღირებულება	დამზადების წელი	ავტომანქანების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდა განთავსდეს მისაწოდებული საბურავების მოდელები
ყველა სეზონი	Hifly	HF805	ჩინეთი	R17 205/50	142	20	2840	არაუადრეს 2016 წლისა	Subaru Impreza ; Suzuki SX4 და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HF805	ჩინეთი	R17 205/55	146	4	584	არაუადრეს 2016 წლისა	Honda CR-V Suzuki SX4 და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 225/60	132	64	8448	არაუადრეს 2016 წლისა	Hyundai ix35 ; Toyota RAV4 ; Nissan X- Trail ; KIA Sportage ; Hyundai Tucson და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 225/65	132	54	7128	არაუადრეს 2016 წლისა	Hyundai ix35 ; Toyota RAV4 ; Nissan X- Trail ; KIA Sportage ; Suzuki Grand Vitara ; Toyota highlander და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 235/65	141	28	3948	არაუადრეს 2016 წლისა	Hyundai Santa Fe ; KIA Sorento ; Toyota RAV4 ; Toyota Land Cruiser Prado 150 ; Volvo XC90 ; Mercedes-Benz ML- class AMG ; Mitsubishi Endeavor ; Jeep Grand Cherokee ; Huanghai Plutus ; Suzuki Grand Vitara და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HF805	ჩინეთი	R17 245/45	160	12	1920	არაუადრეს 2016 წლისა	Mercedes E-class და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 245/65	164	40	6560	ااარაუადრეს 2016 წლისა	Jeep Cherokee ; Volkswagen Amarok ; Mitsubishi L200 ; Honda Ridgeline ; Chevrolet TrailBlazer და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 255/60	168	24	4032	არაუადრეს 2016 წლისა	Mercedes M-class ; Volkswagen Amarok ; Volkswagen Tuareg ; Mercedes CLS-class AMG და სხვა
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 265/65	178	354	63012	არაუადრეს 2016 წლისა	Toyota Land Cruiser Prado ; Mitsubishi Pajero ; Toyota Hilux ; Toyota 4Runner ; Ford Ranger ; Lexus GX ; Lexus RX ; Nissan Pathfinder ; Toyota Fortuner ; Toyota Sequoia; Mercedes-benz ML- class AMG ; Volkswagen Tuareg და სხვა.
ყველა სეზონი	Hifly	HT601	ჩინეთი	R17 265/70	195	8	1560	არაუადრეს 2016 წლისა	Toyota Hilux და სხვა.
ყველა სეზონი	Ling Long	R620	ჩინეთი	R17 275/55	200	12	2400	არაუადრეს 2016 წლისა	Toyota Land Cruiser Prado ; Mitsubishi Pajero ; Toyota Hilux ; Toyota 4Runner ; Ford Ranger ; Lexus GX ; Nissan Pathfinder ; Lexus RX ; Nissan Pathfinder ; Volkswagen Tuareg ; Toyota Sequoia და სხვა
ყველა სეზონი	Westlake	SU318	ჩინეთი	R17 275/65	204	92	18768	არაუადრეს 2016 წლისა	Toyota Land Cruiser Prado ; Toyota 4Runner ; Chevrolet Tahoe და სხვა
ყველა სეზონი	Westlake	SU317	ჩინეთი	R17 275/70	221	4	884	არაუადრეს 2016 წლისა	Toyota Fortuner ; Ford Ranger და სხვა
ყველა სეზონი	Westlake	SU318	ჩინეთი	R17 285/65	221	16	3536	არაუადრეს 2016 წლისა	Toyota Land Cruiser 200 და სხვა

ზაფხული სეზონი	Riken	701	სერბეთი	R18 225/55	211	4	844	არაუადრეს 2016 წლისა	Hyundai ix35 და სხვა
ზაფხული სეზონი	ZETA	Azura	ჩინეთი	R18 235/60	221	16	3536	არაუადრეს 2016 წლისა	Hyundai Santa Fe ; Lexus RX და სხვა
							130000		

საბურავის ღირებულება მოიცავს მისი შეცვლის და ბალანსირების ღირებულებას

შემოთავაზებული ბრენდის საბურავის არის მსოფლიოში აღიარებული და მსოფლიო ბაზარზე იყიდება 3 წელზე მეტია

შპს "თეგეტა მოტორსი"

გენერალური დირექტორი

თემურ კოხოძე